COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

2025 წლის 3 ივლისი

ლანზაროტის კომიტეტი

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის მხარეთა კომიტეტი

იმპლემენტაციის ანგარიში

*****

დანართი – რეკომენდაციების ჩამონათვალი

ბავშვთა დაცვა ნდობის წრეში სექსუალური ძალადობისგან: სამართლებრივი ჩარჩოები

რეზიუმე

ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა ჩადენილია ისეთი პირის მიერ, ვისაც ბავშვი იცნობს და ენდობა. წინამდებარე ანგარიშში ლანზაროტის კომიტეტი აფასებს ბავშვთა დაცვას მათი „ნდობის წრეში“, ლანზაროტის კონვენციის 48 მხარე სახელმწიფოში. „ნდობის წრე“ მოიცავს გაფართოებული ოჯახის წევრებს; პირებს, რომლებსაც აქვთ ბავშვზე ზრუნვის ფუნქციები ან ახორციელებენ ბავშვზე კონტროლს; და პირებს, ვისთანაც ბავშვი ამყარებს ინტერაქციას მისთვის სანდო გარემოში, თანატოლების ჩათვლით. ანგარიშში შეფასებულია, თუ როგორ ახდენენ მხარეები ბავშვზე სექსუალური ძალადობის კრიმინალიზებას და ბავშვთა დაცვას სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. ანგარიში, ასევე, განიხილავს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების კონკრეტულ ზომებს და სახელმწიფოთა მიდგომებს ბავშვთა საზიანო სექსუალურ ქცევის მიმართ. დასასრულს, ანგარიში განიხილავს გამოძიების და სისხლის სამართლის დევნის დროს მოქმედ საპროცესო წესებს და დამნაშავეთა ზედამხედველობისა და მონიტორინგის ღონისძიებებს.

საერთო ჯამში, ლანზაროტის კომიტეტის შეფასებით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განახორციელეს მონიტორინგის პირველი რაუნდის შემდგომ (რომელიც, აგრეთვე, ნდობის წრეს ეხებოდა), განსაკუთრებით, იმ საპროცესო გარანტიების კუთხით, რომლითაც მსხვერპლები სარგებლობენ სისხლის სამართლის პროცესში და გამოძიების დროს. მიუხედავად ამისა, რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, განსაკუთრებით, 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ ბავშვზე სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაციის კუთხით, ოჯახში სექსუალური ძალადობის კონტექსტში და იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ არის იძულება, მუქარა ან ძალის გამოყენება. კომიტეტი მხარეებს მოუწოდებს, გააძლიერონ მსხვერპლისთვის და მათი ახლობლებისთვის სამართლებრივი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, აგრეთვე, მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და მონიტორინგი.

სექსუალური ძალადობისგან ყველა ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია კომპლექსური კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც **კრიმინალიზებულია ნებისმიერი ასაკის ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა იმ პირების მიერ, რომლებიც იკავებენ ავტორიტეტის, ნდობის ან გავლენიანი მდგომარეობის პოზიციას.** რამდენიმე სახელმწიფომ განახორციელა პროგრესი ამ მიმართულებით და ამჟამად, მათში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავს ბავშვთა მიმართ სქესობრივი დანაშაულის განმარტებას, რომელიც მკაფიოდ უთითებს „ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიანი

მდგომარეობის პოზიციაზე“. ამავდროულად, არაერთ სახელმწიფოში დაცვა ვრცელდება მხოლოდ უაღრესად კონკრეტულ გარემოებებზე ან ბავშვებზე, რომლებსაც არ მიუღწევიათ სქესობრივი ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი მინიმალური ასაკისთვის. ზოგიერთ ქვეყანაში იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად, აუცილებელი მოთხოვნას წარმოადგენს იძულების ელემენტი. ამასთან, გარკვეულ ქვეყნებში ბავშვები შესაძლოა დაექვემდებარონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სრულწლოვან სისხლით ნათესავთან, მშვილებელთან ან მინდობით აღმზრდელთან სქესობრივი ურთიერთობის გამო. ზოგ სახელმწიფოში კვლავ დაშვებულია მსხვერპლზე ქორწინება, რაც დამნაშავეს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, ან ჯერ კიდეევ არ არის კრიმინალიზებული სექსუალური ძალადობა დაქორწინებული ბავშვების მეუღლეების მხრიდან. გარკვეულ სახელმწიფოებში კვლავ მოქმედებს დისკრიმინაციული სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ყველა ბავშვის დაცვას ბავშვის ან დამნაშავის სქესის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

ბავშვთა დაცვა სექსუალური ძალადობისგან ოჯახურ კონტექსტში საჭიროებს ადრეულ გამოვლენას, სწრაფ დამცავ ღონისძიებებს და კოორდინირებულ ინტერვენციებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვის უსაფრთხოებას და საუკეთესო ინტერესებს. კომიტეტმა დაადგინა, რომ მხარე სახელმწიფოთა უმრავლესობა უზრუნველყოფს სავარაუდო მოძალადის საცხოვრებლისგან განრიდებას, მათ შორის, სისხლის სამართალწარმოების ინიცირებამდეც. არაერთ სახელმწიფოში, აგრეთვე, შესაძლებელია მშობლის უფლებების ან უფლებამოსილების სრულად შეჩერება ან ჩამორთმევა სისხლის სამართალწარმოების დასრულებამდე ან სისხლის სამართალწარმოების შედეგად მშობლის მსჯავრდების შემდგომ. მეორეს მხრივ, მსხვერპლი ბავშვის განრიდება საცხოვრებლისგან უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას, თუმცა, ყველა მხარე სახელმწიფოს არ აქვს ეს პრინციპი მკაფიოდ ასახული კანონსა თუ პრაქტიკაში. იმ სახელმწიფოების უმეტესობაში, სადაც ბავშვებთან განმარტებითი გამოკითხვის ჩატარება ნებადართულია, არ არის საჭირო მშობლის ან მეურვის წინასწარი თანხმობის მიღება, თუ არსებობს საფრთხე, რომ ისინი ბავშვს სექსუალური ძალადობის ფაქტის გამჟღავნების საშუალებას არ მისცემენ. პროგრესი შეინიშნება, აგრეთვე, იმ მიმართულებით, რომ როცა მშობელი თავად არის სავარაუდო მოძალადე, სახელმწიფოები ნიშნავენ და უზრუნველყოფენ სპეციალურ წარმომადგენლებს და საპროცესო წარმომადგენლებს (guardians *ad litem).* სახელმწიფოების უმეტესობა ასევე უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობამ და კონფიდენციალურობის წესებმა არ შეაფერხოს სხვადასხვა უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლა ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას.

ბავშვები, რომლებიც ავლენენ მავნე სექსუალურ ქცევას, საჭიროებენ სპეციალურ ზომებს, რომლებიც შეესაბამება მათი განვითარების საჭიროებებს. კომიტეტის დასკვნით, სახელმწიფოების უმეტესობაში, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველი ბავშვი ავლენს მავნე სექსუალურ ქცევას სხვა ბავშვების მიმართ, ხდება მისი გადამისამართება ბავშვის კეთილდღეობის სამსახურში და/ან ექვემდებარება დაცვის ღონისძიებებს. მხარეთა უმეტესობა სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიღწეული ბავშვის მიმართ იყენებს განსხვავებულ მიდგომას, იმ ზრდასრულებთან შედარებით, რომლებიც იგივე დანაშაულს სჩადიან. კომიტეტი მხარეებს მოუწოდებს, გამოიყენონ აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა და დაიცვან ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპები.

გამოძიების და სამართლებრივი დევნის ინიცირების ეფექტური მექანიზმები უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ნდობის წრეში ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება განხორციელდეს იმის მიუხედავად, თუ რამდენად აქვს მსხვერპლს შესაძლებლობა ან ნება, წარადგინოს საჩივარი. ანგარიშის თანახმად, სახელმწიფოების უმეტესობაში ამჟამად შესაძლებელია *ex officio* სამართალწარმოების ინიცირება, მსხვერპლის მიერ საჩივრის წარდგენის წინაპირობის გარეშე. ასევე, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა განხორციელებული მსხვერპლის მიერ საჩივრის უკან გახმობის შემდეგ სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობის კუთხით და სამჯერ გაიზარდა იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, სადაც ეს შესაძლებლობა არსებობს. პროგრესი განხორციელდა შეტყობინების კონტექსტშიც. არაერთ სახელმწიფოში იურიდიული პროფესიის გარკვეული წარმომადგენლები ვალდებულები არიან, განახორციელონ შეტყობინება ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში. ამასთან, შეტყობინების ვალდებულებასთან დაკავშირებით, კონფიდენციალურობა დაბრკოლებას არ წარმოადგენს. არაერთ სახელმწიფოში შესაძლებელია, რომ სპეციალისტებს ან მოხალისეებს, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს ძალადობის შესახებ გამოძიება, შეუჩერდეთ უფლებამოსილება. პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროთ იურიდიულ პირებსაც, თუ მათ სარგებელი მიიღეს ამ დანაშაულებიდან.

მსხვერპლი ბავშვები საჭიროებენ სპეციალურ **გარანტიებს და დაცვას გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში,** რათა შემცირდეს ხელახალი ტრავმის რისკი და უზრუნველყოფილი იქნას მათი ეფექტიანი მონაწილეობა მართლმსაჯულების პროცესში. რაც შეეხება გამოძიების ეტაპს, მონიტორინგის პირველი რაუნდის შემდგომ განხორციელდა მნიშვნელოვანი პროგრესი - კერძოდ, გაფართოვდა ბარნაჰუსის მოდელი, რომელიც გულისხმობს მულტიდისციპლინურ, ინტეგრირებულ, ბავშვზე მორგებულ სერვისებს ბავშვებისთვის, რომელიც ხელს უწყობს მსხვერპლი ბავშვების მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას. სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, საგრძნობი პროგრესი იქნა მიღწეული იმ მხრივ, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა სასამართლოში მისცენ ჩვენება დისტანციურად; დაიკითხონ სავარაუდო დამნაშავის თანდასწრების გარეშე; და მოხდეს ბავშვის ჩვენების ვიდეო ჩაწერა. წინასწარ ჩაწერილი/დაფიქსირებული ჩვენების სასამართლოში დასაშვებობა უზრუნველყოფილია თითქმის ყველა მხარე სახელმწიფოში, თუმცა, მხოლოდ ნახევარი იყენებს ჩვენების ამ ფორმას ბავშვის მიერ ცოცხალ რეჟიმში მიცემული ჩვენების ჩასანაცვლებლად. აგრეთვე, განხორციელდა პროგრესი მსხვერპლი ბავშვების პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით. მხარე სახელმწიფოთა უმრავლესობაში დაშვებულია სხდომების დახურვა და მოქმედებს სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მედიისთვის მსხვერპლის ვინაობის გამჟღავნების პრევენციას უზრუნველყოფს. ყველა მხარე მსხვერპლ ბავშვებს უზრუნველყოფს გარკვეული ფორმის უფასო იურიდიულ კონსულტაციაზე წვდომით,

თუმცა, ყველა მათგანი არ უზრუნველყოფს „იურიდიული დახმარების ადვოკატს“, უფასო ადვოკატს ან იურიდიულ მომსახურებას შეღავათიანი პირობებით (ზრდასრულებთან შედარებით).

მსხვერპლები და მესამე მხარეები, აგრეთვე, საჭიროებენ დამატებით გარანტიებს სისხლის სამართალწარმოების კონტექსტის გარეთ. არაერთ მხარე სახელმწიფოში მოქმედებს სამართლებრივი გარანტიები მსხვერპლი ბავშვების და მათი ოჯახის წევრების უარყოფითი შედეგებისგან ან მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, სექსუალური ძალადობის შესახებ ბავშვის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შემდგომ. პროგრესი აღინიშნა მსხვერპლის ახლობლებისთვის თერაპიული დახმარების უზრუნველყოფის კუთხით. რამოდენიმე მხარე სახელმწიფოში ოჯახის წევრებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ხდება *გარნაჰუსის* ან *გარნაჰუსის* ტიპის სერვისების ფარგლებში.

მნიშვნელოვანი ხარვეზები აღინიშნება **მსჯავრდებულთა ზედამხედველობის და მონიტორინგის** კუთხით, მათი ციხიდან გათავისუფლების შემდგომ, და მხარე სახელმწიფოებს შორის **ძალადობაში მსჯავრდებული პირების შესახებ მონაცემების გაზიარების** კუთხით. ეს არის ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელთა გადადგმაც შეუძლიათ სახელმწიფოებს განმეორებითი დანაშაულის პრევენციისთვის.

ლანზაროტის კომიტეტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საჭიროებას, რომ მხარე სახელმწიფოებმა თავიანთი სამართლებრივი ჩარჩოები მოიყვანონ ლანზაროტის კონვენციასთან შესაბამისობაში. ანგარიში შეიცავს მიზნობრივ რეკომენდაციებს და კარგი პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებს, რათა ხელი შეუწყოს ნდობის წრეში სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესებას.

დანართი – რეკომენდაციების ჩამონათვალი

რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, გაითვალისწინონ წინამდებარე ანგარიშში იდენტიფიცირებული კარგი პრაქტიკის მაგალითები და განიხილონ ეროვნულ დონეზე მსგავსი პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია 2

ლანზაროტის კომიტეტი მე-18 მუხლის 1.ბ პუნქტის მეორე აბზაცის შესაბამისად, ქვემოთ ნახსენები მხარეებისგან მოითხოვს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი სისხლის სამართლის ის დებულებები, რომლებიც ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით პირის მიერ ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზებას ახდენს, საკმარისად ფართოდ იყოს ფორმულირებული, რათა მოიცვას ყველა შესაბამისი სიტუაცია:

ესპანეთი, სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიღწეული ბავშვების შემთხვევაში;

სხვა მხარეები, სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიუღწეველი და მიღწეული ბავშვების შემთხვევაში[1].

რეკომენდაცია 3

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს, რომ მხარეებმა, ვისაც ეს ჯერ არ გაუკეთებია[2], მე-18 მუხლის 1.ბ პუნქტის მეორე აბზაცის შესაბამისად, უზრუნველყონ, რომ მათი სისხლის სამართლის დებულებები ახდენდეს ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით პირის მიერ ნებისმიერი ასაკის ბავშვთან, მათ შორის, სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიღწეულ ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზებას. ეს დებულებები საკმარისად ფართოდ უნდა იყოს ფორმულირებული, რათა მოიცვას ყველა შესაბამისი სიტუაცია.

რეკომენდაცია 4

ლანზაროტის კომიტეტი მოლდოვას რესპუბლიკას და ნებისმიერ სხვა მხარეს, ვისაც აქვს მსგავსი დებულებები, სთავაზობს, გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას, რათა

[1] ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ჩეხეთი, ჭანი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მონტენეგრო, სან მარინო, სერბეთი, სლოვენია, ტუნისი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.

[2] ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, საბერძნეთი, ლატვია, მალტა, მოლდოვის რესპუბლიკა, ჩრდილოეთი მაკედონია, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა.

სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიუღწეველი ბავშვი არ ითვლებოდეს ასეთ ურთიერთობაზე თანხმობის გაცემის უნარის მქონედ.

რეკომენდაცია 5

ლანზაროტის კომიტეტი სთავაზობს ალბანეთს, ავსტრიას, ბულგარეთს, ჩეხეთს, საბერძნეთს, ჩრდილოეთ მაკედონიას, შვეიცარიას და სხვა ნებისმიერ მხარეს, სადაც მსგავსი დებულებები მოქმედებს, უზრუნველყონ, რომ ბავშვი აღიარებულ იქნეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლად და არ დაექვემდებაროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სისხლით ნათესავ (აღმავალი შტო) ზრდასრულ ოჯახის წევრთან, მშვილებელთან, მინდობით აღმზრდელთან ან ზრდასრულ დასთან/ძმასთან სექსუალური ურთიერთობის დანაშაულისთვის.

ლანზაროტის კომიტეტი სთავაზობს ალბანეთს, ავსტრიას, ბულგარეთს, ჩეხეთს, საბერძნეთს, უნგრეთს, ისლანდიას, ჩრდილოეთ მაკედონიას, შვეიცარიას და სხვა ნებისმიერ მხარეს, სადაც მსგავსი დებულებები მოქმედებს, უზრუნველყონ, რომ როდესაც საქმე ეხება და-ძმებს შორის სექსუალურ ურთიერთობასთან დაკავშირებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნას, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი და/ძმა არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რომელიც ჩადენილია მეორე დის/ძმის მიერ ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიანი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, მას [სექსუალური ძალადობის მსხვერპლს] არ დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

რეკომენდაცია 6

ლანზაროტის კომიტეტი სთავაზობს ალბანეთს, ავსტრიას, ბულგარეთს, ჩეხეთს, საბერძნეთს, უნგრეთს, ისლანდიას, ჩრდილოეთ მაკედონიას, შვეიცარიას და სხვა ნებისმიერ მხარეს, სადაც მსგავსი დებულებები მოქმედებს, უზრუნველყონ, რომ ბავშვის მიმართ სისხლის სამართლის დევნა და-ძმებს შორის სექსუალური ურთიერთობის გამო გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და პრიორიტეტი მიენიჭოს, გარემოებების გათვალისწინებით, სხვა უფრო შესაფერის საშუალებებს ბავშვის მავნე ქცევის სამართავად (მაგალითად, თერაპიული დახმარება და საგანმანათლებლო ზომები).

რეკომენდაცია 7

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს რუსეთის ფედერაციისგან და სხვა ნებისმიერი მხარისგან, სადაც მსგავსი დებულებები მოქმედებს, რომ მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ, რომ შეუძლებელი იყოს დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან გათავისუფლება დამნაშავის

მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ქორწინების შედეგად, მას შემდეგაც, რაც ბავშვი გახდება სრულწლოვანი.

რეკომენდაცია 8

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს რუსეთის ფედერაციისგან და ტუნისისგან, რომ კონვენციის 18-ე მუხლის 1.ბ პუნქტის პირველი აბზაცის შესაბამისად უზრუნველყონ დაქორწინებული ბავშვების დაცვა მათი მეუღლეების მიერ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულებისგან.

რეკომენდაცია 9

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს მიმართავს თხოვნით, რომ განახორციელონ თავიანთი კანონმდებლობის გადახედვა, რათა სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, რომელიც ჩადენილია ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიან მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის მე-18 მუხლის 1.ბ პუნქტის მეორე აბზაცში, იყოს სისხლის სამართლის დებულებებით მოცული, მათ შორის, დანაშაულები ჩადენილი:

სხეულში ფიზიკური შეღწევით - მიუხედავად იმისა, სახეზე არის თუ არა თანხმობა ან ძალადობის, მუქარის ან ძალის გამოყენება[3];

რაიმე სახის ფიზიკური კონტაქტი შეღწევის გარეშე - მიუხედავად იმისა, სახეზე არის თუ არა თანხმობა ან ძალადობის, მუქარის ან ძალის გამოყენება[4]; და

კონკრეტულ შემთხვევებში, ფიზიკური კონტაქტის გარეშე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ლანზაროტის კონვენციის დებულებების შესაბამისად.

რეკომენდაცია 10

ლანზაროტის კომიტეტი მიმართავს თხოვნით მხარეებს, რომლებსაც ეს ჯერ კიდევ არ აქვთ გაკეთებული[5], მიიღონ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვების სექსუალური მიზნებისთვის გადაბირების (*გრუმინგი*) კრიმინალიზება, მაშინაც კი, თუ არ არსებობს შეხვედრის შეთავაზება, რომელსაც მოჰყვება არსებითი ქმედებები ასეთი შეხვედრის მისაღწევად, ლანზაროტის კომიტეტის 23-ე მუხლის შესახებ მოსაზრების შესაბამისად.

---

[3] ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ლატვია, მალტა, მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა.

[4] ალბანეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მალტა და რუსეთის ფედერაცია.

[5] საქართველო, არმენია, საბერძნეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ნორვეგია, რუმინია, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, სერბია, ტუნისი და თურქეთი.

რეკომენდაცია 11

ლანზაროტის კომიტეტი შემდეგი მხარეებისგან ითხოვს, რომ მე-2 მუხლის შესაბამისად, ყველა ბავშვი თანაბრად იყოს დაცული სექსუალური ძალადობისგან, მათი სქესის ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, კერძოდ:

ალბანეთმა გადახედოს კანონმდებლობის ფორმულირებას, რათა თავიდან აიცილოს სექსუალური ურთიერთობის სტიგმატიზაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, „ჰომოსექსუალურ ურთიერთობებზე“ მითითების ამოღების გზით;

ბულგარეთმა და რუსეთის ფედერაციამ გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას, რათა უზრუნველყონ თანაბარი სანქციები ნებისმიერი სქესის ან გენდერის ბავშვის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის შემთხვევაში, დამნაშავის სქესის ან გენდერის მიუხედავად;

ჩრდილოეთ მაკედონიამ და სერბეთმა უზრუნველყონ, დებულებებში, რომლებიც ახდენს სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიღწეულ ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზებას, შესაძლო დამნაშავეებს შორის მშობლის მეუღლის გათვალისწინება, მისი გენდერის მიუხედავად (დედინაცვალი/მამინაცვალი).

რეკომენდაცია 12

ისეთი მხარეებისგან, რომლებიც თავიანთ სამართლებრივ ჩარჩოებში ითვალისწინებენ განმარტებით გამოკითხვას ბავშვებთან[6], ლანზაროტის კომიტეტი მოითხოვს, რომ ასეთი გამოკითხვის ჩატარება შესაძლებელი იყოს ბავშვის მშობლების ან მეურვეების წინასწარ ინფორმირების გარეშე ან მათი წინასწარი თანხმობის მოპოვების გარეშე, იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ოჯახში სექსუალური ძალადობის შესახებ გონივრული ეჭვი და არსებობს მიზეზი ვარაუდისა, რომ მშობლებმა ან მეურვეებმა შესაძლოა ბავშვს არ მისცენ სექსუალური ძალადობის ფაქტის გამჟღავნების საშუალება.

რეკომენდაცია 13

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს, რომ მხარეებმა ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია[7], მიიღონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რათა უზრუნველყონ, მე-14 მუხლის მესამე პუნქტის პირველი აბზაცის შესაბამისად, ოჯახის საცხოვრებლისგან სავარაუდო მოძალადის გარიდება, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე და ფარგლებს გარეთ.

[6] დანია, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, რუსეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო (ინგლისი და უელსი).

[7] ალბანეთი, აზერბაიჯანი, ხორვატია, დანია, ლიტვია, მონაკო, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, რუსეთი, სან მარინო და ტუნისია.

რეკომენდაცია 14

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სავარაუდო დამნაშავის გარიდება, ოჯახის დარჩენილი წევრების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერისთვის უზრუნველყოფილი იქნეს გარანტიები.

რეკომენდაცია 15

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[8], მიმართავს თხოვნით, უზრუნველყონ, რომ ოჯახური გარემოდან მსხვერპლი ბავშვის გარიდება განიხილონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო დამნაშავის იმავე გარემოდან გარიდება, სხვა ზომებს შორის, არ იქნება საკმარისი ბავშვის დასაცავად ან შეუძლებელია საქმის კონკრეტულ გარემოებებში, ხოლო აღნიშნული ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება.

რეკომენდაცია 16

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებისგან, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ, ითხოვს[9], რომ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებაში ჩართულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და სათანადო გარანტიებით, ისე, რომ არ დაირღვეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონები.

რეკომენდაცია 17

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს:

ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის პროცესის ინტერესების დასაცავად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე, თითოეულ საქმეში, სადაც მშობელი ან მეურვე ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია საკუთარი ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობაში, უზრუნველყონ რისკის ავტომატური შეფასება, რათა გადაწყდეს, უნდა შეჩერდეს ან დროებით ჩამოერთვას თუ არა მშობელს ან მეურვეს მშობლის/მეურვის უფლებები და უფლებამოსილებები.

რისკის ავტომატური შეფასება და ბავშვის საუკეთესო ინტრესების განსაზღვრა უზრუნველყონ თითოეულ საქმეში, სადაც მშობელი ან მეურვე საკუთარ შვილზე სექსუალურ ძალადობაშია მსჯავრდებული, რათა გადაწყდეს, უნდა გაგრძელდეს თუ

[8] ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, საქართველო, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, მონაკო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი, ტუნისი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

[9] ალბანეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სან მარინო, ტუნისი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო (შოტლანდია).

არა მშობლის ან მეურვის უფლებების და უფლებამოსილებების შეჩერება ან დროებით ჩამორთმევა.

რეკომენდაცია 18

ლანზაროტის კომიტეტი ლიხტენშტეინისგან და რუსეთის ფედერაციისგან ითხოვს, 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ სპეციალური წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი მშობლის უფლებამოსილების მქონე პირებსა და მსხვერპლ ბავშვს შორის.

რეკომენდაცია 19

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს, რომ მხარეებმა, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[10], მიიღონ საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, რათა მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ, რომ სპეციალურ წარმომადგენლებს და საპროცესო წარმომადგენლებს ჰქონდეთ ბავშვთა მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის შესახებ სათანადო ცოდნა.

რეკომენდაცია 20

ლანზაროტის კომიტეტი თხოვნით მიმართავს მხარეებს, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებათ, რომ განახორციელონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები, რათა:

თავიდან იქნას აცილებული ერთ პირში ადვოკატისა და საპროცესო წარმომადგენლის ფუნქციების თავმოყრა[11]; და

მსხვერპლი ბავშვისთვის სპეციალური წარმომადგენელი და საპროცესო წარმომადგენელი უზრუნველყონ უფასოდ[12].

რეკომენდაცია 21

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებისგან, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია[13], ითხოვს, რომ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ ინტერვენციის პროგრამები ან ღონისძიებები, რომლებიც ადაპტირებულია იმ ბავშვების

[10] ბელგია, ჩეხეთი, დანია, გერმანია, საბერძნეთი, ლიხტენშტაინი, ლიტვა, რუსეთი, სან ჯაინო, სერბეთი, სლოვენია, უკრაინა.
[11] ალბანეთი, ანდორა, ავსტრია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, დანია, ესტონეთი, საქართველო, გერმანია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მონტენეგრო, ჩრდილოეთი მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია, ტუნისი, თურქეთი და უკრაინა.
[12] ბელგია, იტალია, ლიხტენშტაინი, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.
[13] ალბანეთი, ბულგარეთი, დანია, ჩრდილო მაკედონია, სან მარინო და სლოვაკეთის რესპუბლიკა.

განვითარების საჭიროებებზე, ვინც სჩადის სქესობრივ დანაშაულს, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველი ბავშვების.

რეკომენდაცია 22

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარისგან ითხოვს, რომ მე-6 მუხლის შესაბამისად ყველა ბავშვი უზრუნველყონ კომპლექსური განათლებით, რათა ისინი გაძლიერდნენ და შეძლონ მავნე სექსუალური ქმედებების ამოცნობა, არ ჩაერთონ მავნე სექსუალურ ქცევებში, და ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერაზე იმ შემთხვევაში, თუ დაექვემდებარებიან სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ ექსპლუატაციას.

რეკომენდაცია 23

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, შესაძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენონ აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომა და დაიცვან ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიღწეულ ბავშვებთან ურთიერთობაში, რომლებიც ავლენენ ან ერთვებიან მავნე სექსუალურ ქცევებში ან სქესობრივ დანაშაულებებში.

რეკომენდაცია 24

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, რომ ბავშვის დაკავება წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

რეკომენდაცია 25

ლანზაროტის კომიტეტი უნგრეთისგან, ჩრდილოეთ მაკედონიისგან, სან მარინოსგან და თურქეთისგან ითხოვს, 32-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყონ, რომ მსხვერპლის საჩივრის არ არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ლანზაროტის კონვენციით განსაზღვრული გამოძიება და/ან სამართლებრივი დევნა.

რეკომენდაცია 26

ლანზაროტის კომიტეტი პორტუგალიას მიმართავს თხოვნით, მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა გამარტივდეს დებულებები და მკაფიოდ განისაზღვროს, რომ ბავშვის მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის გამოძიება და სამართლებრივი დევნა შესაძლებელია მსხვერპლის საჩივრის არ არსებობის პირობებში.

რეკომენდაცია 27

ლანზაროტის კომიტეტი ჩრდილოეთ მაკედონიისგან, რუსეთის ფედერაციისგან და სერბეთისგან ითხოვს, რომ კონვენციის 32-ე მუხლის შესაბამისად უზრუნველყონ, სამართალწარმოების გაგრძელების შესაძლებლობა მაშინაც კი, თუ მსხვერპლი უკან წაიღებს მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

რეკომენდაცია 28

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს, განსაკუთრებით ანდორას სთავაზობს, უზრუნველყო მიმღები განყოფილების თანამშრომლების (front desk officers) მიერ სათანადო მომზადების გავლა, რათა მათ დაარეგისტრირონ ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევები მსხვერპლის საჩივრის არ არსებობის პირობებშიც.

რეკომენდაცია 29

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს, განსაკუთრებით, დანიას სთავაზობს, უზრუნველყოს გარანტიების დანერგვა მსხვერპლების დასაცავად და განმეორებითი ტრამვის თავიდან ასაცილებლად იმ შემთხვევაში, თუ ხდება მსხვერპლის გამოძახება მოწმის სტატუსით, მიუხედავად იმისა, რომ მან უკან გაიხმო საჩივარი.

რეკომენდაცია 30

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, როდესაც მსხვერპლის მიერ საჩივრის უკან გამოხმობის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება ბავშვის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ დანაშაულზე დაწყებული სამართალწარმოების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

რეკომენდაცია 31

ლანზაროტის კომიტეტი სერბეთს სთავაზობს, უზრუნველყოს „არასრულწლოვანთან თანაცხოვრების“ შესაძლო დანაშაულის საქმეებში ჩართული ბავშვების სისტემატურად შემოწმება (სკრინინგი) სექსუალურ ძალადობასთან ან სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ შესაძლო დანაშაულებზე, ხოლო ბავშვის საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებული უნდა იქნას ამ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნის არ დაწყების ან წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

რეკომენდაცია 32

ლანზაროტის კომიტეტი თხოვნით მიმართავს ყველა მხარეს, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებები „ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებული ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისგან და სექსუალური ძალადობისგან დაცვის დეკლარაციის“ შესაბამისად, რათა უზრუნველყონ, რომ საჯარო, კერძო ან მოხალისეობრივ სექტორში მომუშავე სპეციალისტები დაექვემდებარონ პასუხისმგებლობას, თუ ისინი ჩაიდენენ ბავშვის მიმართ სქესობრივ დანაშაულებს ან შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინებენ ასეთი დანაშაულის შესახებ.

რეკომენდაცია 33

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს იმ მხარეებისგან, რომლებსაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[14], კონვენციის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყონ, რომ ბავშვებთან მუშაობისას გარკვეული სპეციალისტებისთვის კანონით დაწესებული კონფიდენციალურობის წესები მათ ხელს არ უშლიდეს შესაბამისი სამსახურებისთვის შეტყობინებაში, თუ მათ აქვთ გონივრული საფუძველი იფიქრონ, რომ ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

რეკომენდაცია 34

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, რომ სპეციალისტებს არ ჰქონდეთ ბავშვის/მშობლების/მზრუნველების ინფორმირების ვალდებულება მანამ, სანამ ისინი გააკეთებენ შეტყობინებას, თუ სპეციალისტი (შეტყობინების ავტორი) თვლის, რომ ასეთი შეტყობინება საფრთხეს შეუქმნის ბავშვს/მშობელს/მზრუნველს ან თავად მას.

რეკომენდაცია 35

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, სპეციალისტებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ახორციელებენ ბავშვის მიმართ სქესობრივი დანაშაულების შეტყობინებას, შესთავაზონ სპეციალური დაცვა, მათ შორის, პროფესიული და დასაქმებასთან დაკავშირებული სანქციებისგან დაცვა.

რეკომენდაცია 36

[14] ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, გერმანია, საბერძნეთი, ლიხტენშტაინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მოლდოვის რესპუბლიკა, მონაკო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, განამტკიცონ იმ პირთა დაცვა, რომლებიც ახდენენ ბავშვის მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევების შეტყობინებას კეთილსინდისიერად და შეინარჩუნონ საეჭვო შეტყობინებების დაბალი ზღვარი.

რეკომენდაცია 37

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს მიმართავს თხოვნით, გამოძიების დაწყების შემდეგ დაუშვან სავარაუდო მოძალადის ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებიდან გარიდების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია 38

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, განიხილონ ეჭვმიტანილთა პროფესიული ან მოხალისეობრივი საქმიანობიდან დროებით ჩამოშორების პრევენციული ღონისძიებების შემოღების შესაძლებლობა, თუ ეს საქმიანობა ბავშვებთან კონტაქტს მოიცავს და მიმდინარეობს გამოძიება ან სასამართლო პროცესი ლანზაროტის კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულების შესახებ.

რეკომენდაცია 39

ლანზაროტის კომიტეტი მოითხოვს იმ მხარეებისგან, რომლებსაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[15], კონვენციის 26-ე მუხლის შესაბამისად, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ, რომ იურიდიულ პირებსაც დაეკისროთ პასუხისმგებლობა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისთვის.

რეკომენდაცია 40

ლანზაროტის კომიტეტი „ბავშვების სახლის“ ანუ ბარნაჰუსის მოდელს, კვლავ აღიარებს, როგორც საუკეთესო პრაქტიკას და იმ მხარეებს, რომლებსაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ, სთავაზობს, უზრუნველყონ მსგავსი მრავალპროფილური და უწყებათაშორისი სერვისების ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით.

რეკომენდაცია 41

ლანზაროტის კომიტეტი სთავაზობს ნორვეგიასა და სხვა ნებისმიერ მხარეს, სადაც ეს ჯერ კიდევ არ ხორციელდება, 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის უზრუნველყონ

[15] ანდორა, აზერბაიჯანი, დანია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, რუსეთი და სერბეთი.

მათთვის განკუთვნილ სახლებსა ან ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სხვა მსგავს მრავალპროფილურ და უწყებათაშორის სერვისებზე წვდომა.

რეკომენდაცია 42

ლანზაროტის კომიტეტი რუსეთის ფედერაციისგან მოითხოვს უზრუნველყოს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1.გ პუნქტის შესაბამისად, ყველა თანამშრომელმა, რომელიც პასუხისმგებელია მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვაზე, აუცილებლად გაიაროს შესაბამისი ტრენინგი.

რეკომენდაცია 43

ლანზაროტის კომიტეტი იმ მხარეებისგან, რომელთაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[16], კონვენციის 35-ე მუხლის 1.ა პუნქტის შესაბამისად ითხოვს საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებების მიღებას, რათა მსხვერპლ ბავშვებთან გამოკითხვა ჩატარდეს დანაშაულის ჩადენის შემდეგ მაქსიმალურად სწრაფად.

რეკომენდაცია 44

ლანზაროტის კომიტეტი იმ მხარეებისგან, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[17], 35-ე მუხლის 1.დ პუნქტის შესაბამისად ითხოვს საჭირო საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიებების მიღებას, რათა იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა მსხვერპლის განმეორებით გამოკითხვა, უზრუნველყოფილი იქნას გამოკითხვის იგივე ადამიანის მიერ ჩატარება, იგივე მატერიალურ პირობებში, ბავშვზე მორგებული საპროცესო გარანტიების დაცვით, როგორც ეს მოხდა პირველ გამოკითხვაზე.

რეკომენდაცია 45

ლანზაროტის კომიტეტი საქართველოს, ჩრდილოეთ მაკედონიას და რუსეთის ფედერაციას სთავაზობს, მიიღონ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ დაცვის მხარემ სისხლის სამართლის საქმეში შეძლოს ბავშვის მიერ გამოკითხვის დროს მოწოდებული ინფორმაციის ეჭვქვეშ დაყენება კითხვების დასმის გზით, რის შედეგადაც საჭირო აღარ იქნება ბავშვის სასამართლო დარბაზში ყოფნა, სამართალწარმოების დროს.

რეკომენდაცია 46

[16] ბულგარეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, რუსეთის ფედერაცია, ტუნისი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო.

[17] ბულგარეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, მალტა, ჩრდილოეთ მაკედონია, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო.

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებისგან, რომელთაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[18], ითხოვს უზრუნველყონ, რომ სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა შეძლოს, ისარგებლოს ლანზაროტის კონვენციით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიებით.

რეკომენდაცია 47

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, რომ ზოგადი წესის სახით, 18 წლამდე ასაკის მსხვერპლი ბავშვების მოსმენა შესაძლებელი იყოს მათი სასამართლოში ფიზიკური დასწრების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს მათ საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

რეკომენდაცია 48

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებისგან, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია, ითხოვს, 31-ე მუხლის 1.ზ პუნქტის თანახმად უზრუნველყოფილი იქნეს რომ ბავშვები არ დაექვემდებარონ სავარაუდო დამნაშავეებთან დაპირისპირებას[19], და მათ მიმართავს თხოვნით, რომ თუ ეროვნულ კანონში რაიმე გამონაკლისია გათვალისწინებული, უზრუნველყონ მათი შესაბამისობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან და ეს გამონაკლისი დაექვემდებაროს დამოუკიდებელი ექსპერტის მოსაზრებას[20].

რეკომენდაცია 49

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა დაიცვან მსხვერპლი ბავშვები, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ სავარაუდო დამნაშავეებთან, საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს ან ზრუნვის შესახებ სამართალწარმოების კონტექსტში, რომელიც მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიების ან სასამართლო პროცესის პარალელურად.

რეკომენდაცია 50

ლანზაროტის კომიტეტი ითხოვს იმ მხარეებისგან, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[21], აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომების მიღებას, 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რათა მოხდეს ნებისმიერი ინფორმაციის საჯარო

[18] სომხეთი, აზერბაიჯანი, დანია, ესტონეთი, ისლანდია, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, სლოვენია და ესპანეთი.
[19] ლუქსემბურგი, მონაკო და რუსეთის ფედერაცია.
[20] აზერბაიჯანი, საბერძნეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, მონაკო, მონტენეგრო, რუსეთის ფედერაცია, სლოვენია და შვეიცარია.
[21] სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ესტონეთი, გერმანია, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტაინი, მოლდოვის რესპუბლიკა, მონაკო, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი (14 წელს გადაცილებული ბავშვების გამო), რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, შვედეთი და შვეიცარია.

გავრცელების პრევენცია, განსაკუთრებით, მედიის საშუალებით, თუ იგი სავარაუდოდ გამოიწვევს სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირებას.

რეკომენდაცია 51

ლანზაროტის კომიტეტი ჩრდილოეთ მაკედონიისგან ითხოვს, რომ 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის შესახებ სისხლის სამართლის პროცესის ჩატარება საზოგადოების დასწრების გარეშე.

რეკომენდაცია 52

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს უზრუნველყონ, რომ როდესაც ბავშვი მეურვის ან სოციალური სამსახურების ზრუნვაშია განთავსებული ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ბავშვის მიმართ ჩადენის შესახებ ეჭვის გამო, ხოლო ბავშვს შეუძლია ჰქონდეს სისხლის სამართლის პროცესში მხარის სტატუსი, აღნიშნულ სამსახურებს მოეთხოვებოდეთ ბავშვის სასარგებლოდ იურიდიული კონსულტაციის მოძიება.

რეკომენდაცია 53

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, რომ როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია იურიდიული კონსულტაცია ან იურიდიული დახმარება, მიიღონ ინფორმაცია, რომელიც მათ მისცემს ამ სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია 54

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, რომ სექსუალური ექსპლუატაციისა ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყველა ბავშვი უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარებით, განსაკუთრებით, ნდობის, ავტორიტეტის ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით ძალადობის შემთხვევაში.

რეკომენდაცია 55

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, ნებისმიერი ასაკის მსხვერპლი ბავშვებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ გამოძიებაში ან სასამართლო წარმოებაში, მომზადებული სპეციალისტების მიერ ხელმისაწვდომი გახადონ ფსიქოლოგიური მხარდაჭერა და აღნიშნული არ უნდა იყოს დამოკიდებული შესაბამისი ორგანოების დისკრეციაზე ან მსხვერპლისა თუ მისი წარმომადგენლის მოთხოვნაზე.

რეკომენდაცია 56

ლანზაროტის კომიტეტი ნორვეგიისგან ითხოვს, რომ მე-2 მუხლის შესაბამისად, მსხვერპლები და მათი ახლობლები უზრუნველყოს მხარდაჭერაზე წვდომით, ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

რეკომენდაცია 57

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[22], სთავაზობს, უზრუნველყონ რომ მსხვერპლებს და მათ ახლობლებს ჰქონდეთ წვდომა სათანადო მხარდაჭერაზე მაშინაც კი, თუ ისინი არ წარმოადგენენ მოწმეებს სასამართლოში.

რეკომენდაცია 58

ლანზაროტის კომიტეტი სომხეთს, უკრაინას და ნებისმიერ სხვა მხარეს, რომლებიც მსხვერპლ ბავშვებს უზრუნველყოფენ მხარდაჭერით ოჯახში ძალადობის ან ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის შემუშავებული ინტერვენციების კონტექსტში, მიმართავს თხოვნით, შესაბამის ჩარჩოებში უზრუნველყონ ცალსახა მითითება სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე.

რეკომენდაცია 59

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, რომ სამსახურები, რომლებიც მსხვერპლებს და მათ ახლობლებს უწევენ მხარდაჭერას, მათ შორის, გადაუდებელ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, უზრუნველყონ ადეკვატური დაფინანსებით.

რეკომენდაცია 60

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს ჰქონდეთ წვდომა ტრენინგსა და რესურსებზე, რათა შეძლონ სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება ბავშვის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის კონტექსტში და მასზე სათანადოდ რეაგირება.

რეკომენდაცია 61

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ, ჩვენების თავისუფალი და სათანადო შეფასებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, რომ იმ

[22] აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა.

შემთხვევებში, სადაც ბავშვმა ისარგებლა თერაპიული ინტერვენციით, ამ უკანასკნელმა, ცალკე აღებული, არ იქონია უარყოფითი გავლენა ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობის შეფასებაზე ან ამ ჩვენებისთვის წონის მინიჭებაზე.

რეკომენდაცია 62

ლანზაროტის კომიტეტი ყველა მხარეს სთავაზობს, უზრუნველყონ სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის წვდომა გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მორგებულია მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე.

რეკომენდაცია 63

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებისგან[23], ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ითხოვს ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთა მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმების შექმნას.

რეკომენდაცია 64

ლანზაროტის კომიტეტი მხარეებს სთავაზობს, გააუმჯობესონ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთა მონიტორინგისა და ზედამხედველობის მექანიზმები, მაგალითად, განიხილონ დამატებით მითითებებში (ქვემოთ) წარმოდგენილი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა.

რეკომენდაცია 65

ლანზაროტის კომიტეტი იმეორებს მონაცემთა შეგროვების მექანიზმების შესახებ ანგარიშში წარმოდგენილ მე-11 რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც მხარეებს, რომელთაც ეს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ[24], მოეთხოვებათ სხვა მხარეებთან თანამშრომლობა მონაცემთა გაზიარებით, რომელიც ეხება ლანზაროტის კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულებში მსჯავრდებული პირების ვინაობასა და გენეტიკურ პროფილს, მონაცემთა გაზიარების შეთანხმებებისა და პროტოკოლების შესაბამისად, ამგვარი დანაშაულების პრევენციისა და სამართლებრივი დევნისთვის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

---

[23] ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, ლიხტენშტაინი, მოლდოვის რესპუბლიკა, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა და ტუნის.
[24] ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, ლიხტენშტეინი, მალტა, მონაკო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, ისლანდია, რუსეთი, სან მორინო, სერბეთი, სლოვენია, შვეიცარია, ტუნისი, თურქეთი და უკრაინა.